

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “REAL PALACE”-ის პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “REAL PALACE”-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისაგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “REAL PALACE”-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი შპს “REAL PALACE”-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის(შემდგომში IESBA კოდექსი“) შესაბამისად, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს -შპს “REAL PALACE”-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით

უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ -შპს “REAL PALACE -ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა -შპს “REAL PALACE-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, -შპს “REAL PALACE -ის მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შ.პ.ს „ Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ#SARAS-A-728904)

28 სექტემბერი 2019 წელი

ბათუმი საქართველო

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, -შპს “REAL PALACE”-ის მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შ.პ.ს „Fin.Exp.Corporation“-ის სახელით (რეგ.#SARAS-F-758026)

ირმა ჩხაიძე (რეგ.#SARAS-A-728904)

28 სექტემბერი 2019 წელი
ბათუმი საქართველო



შპს REAL PALACE

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა	1-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	12-24
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
მომზადების საფუძვლები და ფუნქციონირებადი საწარმო	13
სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	14-21
(ა) უცხოური ვალუტა	14-21
(ბ) შემოსავლის აღიარება	14-21
(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები	14-21
(დ) გადასახადები	14-21
(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14-21
(ვ) ძირითადი საშუალებები	14-21
(ზ) არამატერიალური აქტივები	14-21
(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14-21
(ი) მომუშავეთა გასამრჯელო	14-21
(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	14-21
(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები	14-21
(მ) ხარჯად აღიარება.....	14-21
(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	14-21
(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	14-21
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება	21-28

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

შპს REAL PALACE

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის
2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	შენიშვნა	2018	2017	2016
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,500,946	5,836,277	459,882
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,500,946	5,836,277	459,882
მოკლევადიანი აქტივები				
მიმდინარე მარაგები	5	6,797,210	10,038,252	9,980,261
მზა პროდუქცია	5	5,133,730	736,927	2,399,076
გაცემული სესხები	6	1,811,412	923,364	485,597
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,503,160	2,899,993	1,895,195
ფულადი სახსრები და მათივ ექვივალენტები	7	1,681,966	2,538,687	5,268,771
გადახდილი ავანსები	6	934,209	1,417,848	598,540
საგადასახადო აქტივი	6	5,733,402	3,412,921	579,891
სხვა მიმდინარე აქტივები	6	123,984	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		25,719,073	21,967,993	21,207,331
სულ აქტივები		27,220,019	27,804,270	21,667,214
ვალდებულებები და კაპიტალი				
მთლიანი კაპიტალი				
დაუფარავი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება		7,389,064	2,700,597	1,971,599
მიმდინარე წლის შედეგი		10,374,289	10,315,287	3,515,722
საწესდებო კაპიტალი		272,000	272,000	272,000
სულ მთლიანი კაპიტალი		18,035,352	13,287,884	5,759,321
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	6	0	0	1,304,728
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	601,253	245,766	35,572
პერსონალის მიმართ ვალდებულება	8	0	803	1,640
მიღებული ავანსები	8	8,583,414	14,269,816	14,565,953
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,184,667	14,516,386	15,907,893
სულ ვალდებულებები		9,184,667	14,516,386	15,907,893
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,220,019	27,804,270	21,667,214

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე



12 - 28 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენდვები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

შპს REAL PALACE-ის

სრული შემოსავლი ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	9	20,466,943	16,722,650
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(8,407,416)	(5,306,406)
საერთო მოგება		12,059,528	11,416,245
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(588,186)	(561,534)
სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(46,675)	(72,148)
საოპერაციო მოგება		(634,861)	(633,681)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)	13	137,331	(249,467)
საპროცენტო შემოსავალი	13	137,404	167,530
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		0	1,787
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	14	(331,838)	(34,454)
არასაოპერაციო მოგება		(57,103)	(114,604)
მოგება დაბეგვრამდე		11,367,564	10,667,959
მოგების გადასახადის ხარჯი		(993,275)	(352,672)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		10,374,289	10,315,287
გადაფასების რეზერვი		0	0
მოცემული წლის სრული შემოსავალი		10,374,289	10,315,287

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე



12- 28 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

შპს REAL PALACE-ის

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	272,000	5,487,321		5,759,321
2017 წლის კაპიტალის ცვლილება	0	10,315,287	(2,786,723)	13,287,884
2018 წლის კაპიტალის ცვლილება	0	10,374,289	(5,626,821)	18,035,352
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	272,000	26,176,897	(8,413,544)	18,035,352

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ
ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე



12 -28 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE-ის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,041,867	15,788,945
მომწოდებლისთვის გადახდილის ფულადი სახსრები	(4,536,389)	(9,635,387)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(855,100)	(984,882)
გადახდილი მოგების გადასახადი	(993,275)	(352,672)
გადახდილი სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(2,408,859)	(4,250,197)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,248,244	565,808
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის ძირითადი თანხა	(778,457)	(339,800)
გადახდილი დივიდენდები	(5,345,480)	(2,647,386)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(6,123,936)	(2,987,186)
წმინდა გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	18,971	(308,706)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2,538,687	5,268,772
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,681,966	2,538,687

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე



12 28 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

შპს “REAL PALACE” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 23 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 445394591 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2011 წლის 13 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ., 97-99: ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი აჭარა ბათუმი ფიროსმანის 18.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. ედნარ ხიმშიაშვილი, 61002004529.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელია:

1. ლევან ხიმშიაშვილი, 61010004180 – 33%
2. ჯუმბერ ზოიძე, 61005000380 – 34%
3. თამაზ ბექაია, 01024081285, /რუსეთი, საქართველო/ – 33%

კომპანია ზომითი კატეგორიის მიხედვით წარმოადგებს მეორე კატეგორიის საწარმოს ყველა არსებითი კრიტერიუმით:

მეორე კატეგორიის საწარმო არის სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;
- ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) . საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის

აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ აქტივებს, რომელიც უნდა შეფასებულიყო რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია მუშაობს საამშენებლო ბაზარზე, რაც გულისხმობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას. არსებული საოპერაციო საქმიანობით არსებითად განსაზღვრულია სამომავლო ოპერაციები რათა უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს REAL PALACE ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას:

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა. რადგანაც სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდში, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღით. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად რაიმე ტიპის კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2017 და 2016 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი

31.12.2016 – 2.6468

31.12.2017 – 2.5922

31.12.2018 – 2.6766

ევრო

31.12.2016 – 2.7940

31.12.2017 – 3.1044

31.12.2018 – 3.0701

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ

კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემდგომ ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

შენობები

მანქანა დანადგარები

ოფისის აღწურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები

სხვა ძირითადი საშუალებები

სასარგებლო გამოყენების ვადები

5-20 წლამდე

5 - 8 წლამდე

1 - 5 წლამდე

5 - 10 წლამდე

1 - 5 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს),

სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2017	2018 წლის სადებიტო ბრუნვა	2018 წლის საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2018
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	გაცემული სესხი	788,300	582,514	0	1,370,814
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	მისაღები პროცენტი	111,454	105,534	0	216,988
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	ბინების რეალიზაცია	562,700	0	0	562,700
შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის რეალიზაცია	243,021	7,363	(250,385)	0
შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის შეძენა	(40,607)	272,255	(231,649)	0
შპს "თბილისი პალასი" ს/ნ 405253381	საქონლის რეალიზაცია	0	180,000	0	180,000
		1,664,869	1,147,666	2,812,535	180,000

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	ჯამურად
2016 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	0	566,806	50,989	393,033	256,026	3,185	864	1,270,903
შესყიდვები		111,786	9,242	52,485	21,545	1,800	0	196,858
გაყიდვები და ჩამოწერა		(556,848)	(13,340)	(97,898)		(593)		(668,679)
2016 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება		121,744	46,891	347,620	277,571	4,392	864	799,082
2017 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	0	121,744	46,891	347,620	277,571	4,392	864	799,082
შესყიდვები	5,352,694	5,880	0	8,857	134,024	14,483	0	5,515,937
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	(3,498)	0	0	0	(3,498)
2017 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება	5,352,694	127,624	46,891	352,979	411,595	18,875	864	6,311,520
2018 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	5,352,694	127,624	46,891	352,979	411,595	18,875	864	6,311,520
შესყიდვები	0	1,864	0	935,338	177,139	48,776	0	1,163,116
გაყიდვები და ჩამოწერა	(5,352,694)	(6,627)	(26,796)	(29,517)	(230,472)	(12,608)	(864)	(5,659,578)
2018 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება	(0)	122,860	20,095	1,258,799	358,262	55,043	0	1,815,058
ცვეთა	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	ჯამურად
2016 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა		55,910	18,303	128,082	83,804	267	317	286,683
შესყიდვები		8,392	8,353	64,231	51,923	410	173	133,482
გაყიდვები და ჩამოწერა		(41,602)	(5,104)	(34,260)				(80,966)

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

2016 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა		22,700	21,552	158,053	135,727	677	490	339,199
2017 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	22,700	21,552	158,053	135,727	677	490	339,199
შესყიდვები	0	8,726	8,221	61,696	58,384	651	173	137,851
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	(1,807)	0	0	0	(1,807)
2017 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	31,426	29,773	217,941	194,113	1,328	662	475,243
2018 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	31,426	29,773	217,941	194,113	1,328	662	475,243
შესყიდვები	0	9,580	912	19,821	0	0	0	30,313
გაყიდვები და ჩამოწერა	0	(5,709)	(16,217)	(8,412)	(160,443)	0	(662)	(191,444)
2018 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	35,296	14,469	229,350	33,669	1,328	0	314,113
2016 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	0	99,044	25,339	189,566	141,844	3,715	374	459,882
2017 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	5,352,694	96,198	17,118	135,038	217,482	17,547	202	5,836,277
2018 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(0)	87,564	5,627	1,029,449	324,592	53,715	0	1,500,946

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

„კომპანია“ ძირითადი საშუალებების სახით ერიცხება სხვადასხვა სპეციფიკის დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2018	2017	2016
მიმდინარე მარაგი	6,797,210	10,038,252	9,980,261
დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება	5,133,730	736,927	2,399,076
	11,930,940	10,775,179	12,379,337

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2018	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,503,160	2,899,993	1,895,195
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	934,209	1,417,848	598,540
გაცემული სესხები	1,811,412	923,364	485,597
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	5,857,385	3,412,921	1,884,619
	12,106,166	8,654,127	4,863,952

7. ფული და ფულის ექვივალენტი

ფულის და ფულის ექვივალენტი 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფული და ფულის ექვივალენტი	2018	2017	2016
ფული სალაროში	102,795	205,396	35,256
ფული ბანკში ლარი	181,476	1,017,079	1,964,750
ფული ბანკში დოლარი	1,360,301	1,300,794	3,249,590
ფული ბანკში ეურო	37,394	15,418	19,176
	1,681,966	2,538,687	5,268,772

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2018	2017	2016
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	601,253	245,766	35,572
მიღებული ავანსები	8,583,414	14,269,816	14,565,953
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	0	803	1,640
	9,184,667	14,516,386	14,603,165

9. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიმდინარე წლის ამონაგები	2018	2017
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	20,054,090	16,716,671
შემოსავალი მომსახურებიდან	96,446	2,793
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	163,866	3,186
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	152,542	0
	20,466,943	16,722,650

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2018	2017
რეალიზებული ბინების თვითღირებულება	8,217,638	5,306,406
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	143,265	0
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	46,512	0
	8,407,416	5,306,406

11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	2018	2017
შრომის ანაზღაურება	169,668	229,208
საშუამავლო მომსახურებები	109,210	69,025
აუდიტის მომსახურება	54,102	30,449
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	6,000	11,520
სარეკლამო მომსახურებები	102,066	18,573
ცვეთის ხარჯი	75,302	137,851
საგადასახადო ხარჯები	12,986	6,926
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	58,852	130,129
	588,186	633,681

12. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა საოპერაციო ხარჯები	2018	2017
საქველმოქმედო ხარჯები	16,675	0
მომსახურების ხარჯი	30,000	0
	46,675	0

13. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავლები	2018	2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	137,331	(249,467)
საპროცენტო შემოსავალი	137,404	167,530
	274,735	(81,937)

14. საოპერაციო ხარჯი

საოპერაციო ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საოპერაციო ხარჯები	2018	2017
უსასყიდლო მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი	314,760	0
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	17,078	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0	34,454
	331,838	34,454

15. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვეველობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

16. მნიშვნელოვანი გარემოებები:

კომპანიის მიმდინარე სამშენებლო პროექტზე ნებართვა გაცემული იყო 2008 წლამდე პერიოდზე, 2018 წელს კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა არსებული შეღავათი გათვალისწინებული #309 გარდამავალი დებულების მუხლი 79-ის საფუძველზე:

79. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) უძრავი ქონების მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში განხორციელდა;

ბ) მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტში ან იმ ობიექტში, რომელზედაც 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, მშენებლობის ნებართვა კი შემდგომ გაიცა;

გ) უძრავი ქონების მიმწოდებელი ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელია (იგი შეიძლება არ იყოს ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის/საპროექტო დოკუმენტაციის (არქიტექტურული პროექტის) მფლობელი);

დ) იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2023 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

ე) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, მთლიანად ან ნაწილობრივ საცხოვრებლადაა განკუთვნილი;

ვ) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, ამ მუხლის 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი

აღნიშნულმა გარემოების გამო რეტროსპექტიულად კორექტირებას დაექვემდებარა აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ბინების მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის ამონაგებისა და საგადასახადო აქტივთან მიმართებაში.

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

შპს REAL PALACE

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა	1-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	12-24
1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	12
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
მომზადების საფუძვლები და ფუნქციონირებადი საწარმო	13
სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	14-21
(ა) უცხოური ვალუტა	14-21
(ბ) შემოსავლის აღიარება	14-21
(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები	14-21
(დ) გადასახადები	14-21
(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14-21
(ვ) ძირითადი საშუალებები	14-21
(ზ) არამატერიალური აქტივები	14-21
(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14-21
(ი) მომუშავეთა გასამრჯელო	14-21
(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	14-21
(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები	14-21
(მ) ხარჯად აღიარება.....	14-21
(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	14-21
(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	14-21
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება	21-28

შპს REAL PALACE

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობის
2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	შენიშვნა	2018	2017	2016
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,500,946	5,836,277	459,882
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,500,946	5,836,277	459,882
მოკლევადიანი აქტივები				
მიმდინარე მარაგები	5	6,797,210	10,038,252	9,980,261
მზა პროდუქცია	5	5,133,730	736,927	2,399,076
გაცემული სესხები	6	1,811,412	923,364	485,597
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,503,160	2,899,993	1,895,195
ფულადი სახსრები და მათივ ექვივალენტები	7	1,681,966	2,538,687	5,268,771
გადახდილი ავანსები	6	934,209	1,417,848	598,540
საგადასახადო აქტივი	6	5,733,402	3,412,921	579,891
სხვა მიმდინარე აქტივები	6	123,984	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		25,719,073	21,967,993	21,207,331
სულ აქტივები		27,220,019	27,804,270	21,667,214
ვალდებულებები და კაპიტალი				
მთლიანი კაპიტალი				
დაუფარავი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება		7,389,064	2,700,597	1,971,599
მიმდინარე წლის შედეგი		10,374,289	10,315,287	3,515,722
საწესდებო კაპიტალი		272,000	272,000	272,000
სულ მთლიანი კაპიტალი		18,035,352	13,287,884	5,759,321
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	6	0	0	1,304,728
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	601,253	245,766	35,572
პერსონალის მიმართ ვალდებულება	8	0	803	1,640
მიღებული ავანსები	8	8,583,414	14,269,816	14,565,953
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,184,667	14,516,386	15,907,893
სულ ვალდებულებები		9,184,667	14,516,386	15,907,893
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,220,019	27,804,270	21,667,214

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

14-21 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების - განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE-ის

სრული შემოსავლი ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	9	20,466,943	16,722,650
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(8,407,416)	(5,306,406)
საერთო მოგება		12,059,528	11,416,245
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(588,186)	(561,534)
სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(46,675)	(72,148)
საოპერაციო მოგება		(634,861)	(633,681)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)	13	137,331	(249,467)
საპროცენტო შემოსავალი	13	137,404	167,530
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		0	1,787
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	14	(331,838)	(34,454)
არასაოპერაციო მოგება		(57,103)	(114,604)
მოგება დაბეგვრამდე		11,367,564	10,667,959
მოგების გადასახადის ხარჯი		(993,275)	(352,672)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		10,374,289	10,315,287
გადაფასების რეზერვი		0	0
მოცემული წლის სრული შემოსავალი		10,374,289	10,315,287

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

14-21 -ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

შპს REAL PALACE-ის

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ საკუთარი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	272,000	5,487,321		5,759,321
2017 წლის კაპიტალის ცვლილება	0	10,315,287	(2,786,723)	13,287,884
2018 წლის კაპიტალის ცვლილება	0	10,374,289	(5,626,821)	18,035,352
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	272,000	26,176,897	(8,413,544)	18,035,352

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ
ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

14-21 -ის ჩათლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ლარი)

შპს REAL PALACE-ის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,041,867	15,788,945
მომწოდებლისთვის გადახდილის ფულადი სახსრები	(4,536,389)	(9,635,387)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(855,100)	(984,882)
გადახდილი მოგების გადასახადი	(993,275)	(352,672)
გადახდილი სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(2,408,859)	(4,250,197)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,248,244	565,808
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხის ძირითადი თანხა	(778,457)	(339,800)
გადახდილი დივიდენდები	(5,345,480)	(2,647,386)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(6,123,936)	(2,987,186)
წმინდა გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	18,971	(308,706)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2,538,687	5,268,772
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	1,681,966	2,538,687

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

14-21 -ის ჩათლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს “REAL PALACE” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 23 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 445394591 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2011 წლის 13 სექტემბერს.

კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ.,97-99: ფაქტიური მისამართი:ქ.ბათუმი აჭარა ბათუმი ფიროსმანის 18.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. ედნარ ხიმშიაშვილი, 61002004529.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელია:

1. ლევან ხიმშიაშვილი, 61010004180– 33%
2. ჯუმბერ ზოიძე, 61005000380 – 34%
3. თამაზ ბექაია, 01024081285,/რუსეთი,საქართველო/- 33%

კომპანია ზომითი კატეგორიის მიხედვით წარმოადგებს მეორე კატეგორიის საწარმოს ყველა არსებითი კრიტერიუმით:

მეორე კატეგორიის საწარმო არის სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;
- ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) . საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ აქტივებს, რომელიც უნდა შეფასებულიყო რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია მუშაობს საამშენებლო ბაზარზე, რაც გულისხმობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას. არსებული საოპერაციო საქმიანობით არსებითად განსაზღვრულია სამომავლო ოპერაციები რათა უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს REAL PALACE ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას:

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

მსს ფასს-ის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა. რადგანაც სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებდა წინა საანგარიშგებო პერიოდში, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღით. აქედან გამომდინარე მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად რაიმე ტიპის კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2017 და 2016 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი

31.12.2016 – 2.6468

31.12.2017 – 2.5922

31.12.2018 – 2.6766

ევრო

31.12.2016 – 2.7940

31.12.2017 – 3.1044

31.12.2018 – 3.0701

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

შენობები

მანქანა დანადგარები

ოფისის აღწურვილობა

სატრანსპორტო საშუალებები

სხვა ძირითადი საშუალებები

სასარგებლო გამოყენების ვადები

5-20 წლამდე

5 - 8 წლამდე

1 - 5 წლამდე

5 - 10 წლამდე

1 - 5 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას,

რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დასახელება	ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2017	2018 წლის სადებეტო ბრუნვა	2018 წლის საკრედიტო ბრუნვა	ნაშთი 31.12.2018
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	გაცემული სესხი	788,300	582,514	0	1,370,814
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	მისაღები პროცენტი	111,454	105,534	0	216,988
შპს "ახალი ერა" ს/ნ 405076457	ბინების რეალიზაცია	562,700	0	0	562,700
შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის რეალიზაცია	243,021	7,363	(250,385)	0
შპს "მეგა პალასი" ს/ნ 445437331	საქონლის შეძენა	(40,607)	272,255	(231,649)	0
შპს "თბილისი პალასი" ს/ნ 405253381	საქონლის რეალიზაცია	0	180,000	0	180,000
		1,664,869	1,147,666	2,812,535	180,000

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამურად
2016 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	0	566,806	50,989	393,033	256,026	3,185	864	1,270,903
შესყიდვები		111,786	9,242	52,485	21,545	1,800	0	196,858
გაყიდვები და ჩამოწერა		(556,848)	(13,340)	(97,898)		(593)		(668,679)
2016 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება		121,744	46,891	347,620	277,571	4,392	864	799,082
2017 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	0	121,744	46,891	347,620	277,571	4,392	864	799,082
შესყიდვები	5,352,694	5,880	0	8,857	134,024	14,483	0	5,515,937
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	(3,498)	0	0	0	(3,498)
2017 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება	5,352,694	127,624	46,891	352,979	411,595	18,875	864	6,311,520
2018 წლის საწყისი თავდაპირველი ღირებულება	5,352,694	127,624	46,891	352,979	411,595	18,875	864	6,311,520
შესყიდვები	0	1,864	0	935,338	177,139	48,776	0	1,163,116
გაყიდვები და ჩამოწერა	(5,352,694)	(6,627)	(26,796)	(29,517)	(230,472)	(12,608)	(864)	(5,659,578)
2018 წლის საბოლოო თავდაპირველი ღირებულება	(0)	122,860	20,095	1,258,799	358,262	55,043	0	1,815,058
ცვეთა	მიწა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამურად
2016 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა		55,910	18,303	128,082	83,804	267	317	286,683

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

შესყიდვები	8,392	8,353	64,231	51,923	410	173	133,482
გაყიდვები და ჩამოწერა	(41,602)	(5,104)	(34,260)				(80,966)
2016 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა	22,700	21,552	158,053	135,727	677	490	339,199
2017 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	22,700	21,552	158,053	135,727	677	490
შესყიდვები	0	8,726	8,221	61,696	58,384	651	137,851
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	(1,807)	0	0	(1,807)
2017 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	31,426	29,773	217,941	194,113	1,328	475,243
2018 წლის საწყისი დაგროვილი ცვეთა	0	31,426	29,773	217,941	194,113	1,328	475,243
შესყიდვები	0	9,580	912	19,821	0	0	30,313
გაყიდვები და ჩამოწერა	0	(5,709)	(16,217)	(8,412)	(160,443)	0	(191,444)
2018 წლის საბოლოო დაგროვილი ცვეთა	0	35,296	14,469	229,350	33,669	1,328	314,113
2016 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	0	99,044	25,339	189,566	141,844	3,715	459,882
2017 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	5,352,694	96,198	17,118	135,038	217,482	17,547	5,836,277
2018 წლის ბოლოს ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(0)	87,564	5,627	1,029,449	324,592	53,715	1,500,946

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შემენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე

შპს REAL PALACE ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

„კომპანია“ ძირითადი საშუალებების სახით ერიცხება სხვადასხვა სპეციფიკის დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	2018	2017	2016
მიმდინარე მარაგი	6,797,210	10,038,252	9,980,261
დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება	5,133,730	736,927	2,399,076
	11,930,940	10,775,179	12,379,337

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2018	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,503,160	2,899,993	1,895,195
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	934,209	1,417,848	598,540
გაცემული სესხები	1,811,412	923,364	485,597
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	5,857,385	3,412,921	1,884,619
	12,106,166	8,654,127	4,863,952

7. ფული და ფულის ექვივალენტი

ფულის და ფულის ექვივალენტი 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფული და ფულის ექვივალენტი	2018	2017	2016
ფული სალაროში	102,795	205,396	35,256
ფული ბანკში ლარი	181,476	1,017,079	1,964,750
ფული ბანკში დოლარი	1,360,301	1,300,794	3,249,590
ფული ბანკში ეურო	37,394	15,418	19,176
	1,681,966	2,538,687	5,268,772

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2018	2017	2016
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	601,253	245,766	35,572
მიღებული ავანსები	8,583,414	14,269,816	14,565,953
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	0	803	1,640
	9,184,667	14,516,386	14,603,165

9. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიმდინარე წლის ამონაგები	2018	2017
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	20,054,090	16,716,671
შემოსავალი მომსახურებიდან	96,446	2,793
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	163,866	3,186
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	152,542	0
	20,466,943	16,722,650

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2018	2017
რეალიზებული ბინების თვითღირებულება	8,217,638	5,306,406
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	143,265	0
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	46,512	0
	8,407,416	5,306,406

11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	2018	2017
შრომის ანაზღაურება	169,668	229,208
საშუამავლო მომსახურებები	109,210	69,025
აუდიტის მომსახურება	54,102	30,449
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	6,000	11,520
სარეკლამო მომსახურებები	102,066	18,573
ცვეთის ხარჯი	75,302	137,851
საგადასახადო ხარჯები	12,986	6,926
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	58,852	130,129
	588,186	633,681

12. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა საოპერაციო ხარჯები	2018	2017
საქველმოქმედო ხარჯები	16,675	0
მომსახურების ხარჯი	30,000	0
	46,675	0

13. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არასაოპერაციო შემოსავლები	2018	2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	137,331	(249,467)
საპროცენტო შემოსავალი	137,404	167,530
	274,735	(81,937)

14. საოპერაციო ხარჯი

საოპერაციო ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საოპერაციო ხარჯები	2018	2017
უსასყიდლო მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი	314,760	0
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	17,078	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0	34,454
	331,838	34,454

15. ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები. საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

16. მნიშვნელოვანი გარემოებები:

კომპანიის მიმდინარე საამშენებლო პროექტზე ნებართვა გაცემული იყო 2008 წლამდე პერიოდზე, 2018 წელს კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა არსებული შეღავათი გათვალისწინებული #309 გარდამავალი დებულების მუხლი 79-ის საფუძველზე:

79. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) უძრავი ქონების მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა 2015 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში განხორციელდა;

ბ) მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტში ან იმ ობიექტში, რომელზედაც 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, მშენებლობის ნებართვა კი შემდგომ გაიცა;

გ) უძრავი ქონების მიმწოდებელი ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტზე გაცემული მშენებლობის ნებართვის მფლობელია (იგი შეიძლება არ იყოს ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის/საპროექტო დოკუმენტაციის (არქიტექტურული პროექტის) მფლობელი);

დ) იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2023 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

ე) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, მთლიანად ან ნაწილობრივ საცხოვრებლადაა განკუთვნილი;

ვ) ობიექტი, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, ამ მუხლის 81-ე ნაწილით გათვალისწინებულ ნუსხაშია შეტანილი

აღნიშნულმა გარემოების გამო რეტროსპექტიულად კორექტირებას დაექვემდებარა აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ბინების მიწოდება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის ამონაგებისა და საგადასახადო აქტივთან მიმართებაში.

შპს REAL PALACE-ის

დირექტორი: ედნარ ხიმშიაშვილი

მთ. ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე

შპს "REAL PALACE"

მართვების ანგარიშგება



2018 წელი

საქართველო, ქ. ბათუმი

2018 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებს და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ავსახეთ ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

შპს „REAL PALACE“

მმართველობის ანგარიშგება

საქართველოში მშენებლობის სფეროს ძირითადად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, ასევე სხვა მარეგულირებელი აქტები არეგულირებს. კანონი განსაზღვრავს მშენებლობის უსაფრთხოების წესებს და სხვა მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის მიღების წესებს, მშენებლობის ეტაპების პროექტთან მკაცრ შესაბამისობას და კანონის მოთხოვნების დარღვევისთვის დაწესებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სრულად ვასრულებთ კანონმდებლობის მოთხოვნებს, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ თვითმართველი ქალაქი ბათუმის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში შემავალ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო. კომპანიას არ განუხორიელებია კვლევები და არც მომავალში აპირებს ამას. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. ძირითადი ოფისის მისამართი გამუდმებით იცვლება მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მისამართების მიხედვით. დღეისათვის შპს „REAL PALACE“-ს მისამართია ქ. ბათუმი, ფიროსმანის 18ბ.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „REAL PALACE“, საიდენტიფიკაციო ნომერი 445394591, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2011 წლის 23 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის 97-99. მისი ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საზოგადოების დამუშნებლები დაარსებიდან დღემდე არიან:

- ❖ ლევან ხიმშიაშვილი, პ/ნ 61010004180 – 33% წილის მფლობელი;
- ❖ ჯუმბერ ზოიძე, პ/ნ 61005000380 – 34% წილის მფლობელი;
- ❖ თამაზ ბექაია, პ/ნ 01024081285 – 33% წილის მფლობელი.

2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 272 000 ლარს. ამჟამად კომპანიის

დირექტორია ედნარ ხიმშიაშვილი (პ/ნ 61002004529).

რას ვსაქმიანობთ


კომპანიის საქმიანობას იმთავითვე მშენებლობა წარმოადგენდა, კერძოდ კომპანიის პირველ სამშენებლო პროექტს წარმოადგენდა ქ. ბათუმში ჯავახიშვილის 4ა-ში განთავსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. დაარსებიდან იგი არ იცვლის საქმიანობის სფეროს და დღეისათვის 4 მრავალსართულიანი სახლი აქვს აშენებული, ასევე აქვს 2 მიმდინარე მშენებარე პროექტი, მათი ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.realpalace.ge/ge/.

შპს „REAL PALACE“ გამოირჩევა მშენებლობის უმაღლესი ხარისხით, რის გამოც გვყავს ბევრი ერთგული მომხმარებელი.

შპს „REAL PALACE“ მშენებლობას ძირითადად ქალაქ ბათუმში ახორციელებს.

აქტივების დინამიკა წლების მიხედვით

აქტივების დინამიკა




	2016	2017	2018
■ აქტივები	21667214	27804270	27220019

■ აქტივები

ამონაგების და რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულების დინამიკა წლების მიხედვით

ამონაგები და რპთ



	2016	2017	2018
■ ამონაგები	7106264	16722650	20466943
■ რპთ	3426100	5306406	8407416

■ ამონაგები ■ რპთ


სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებულ ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადაწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი

ჩვენს კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:




კომპანიას უშუალოდ მართავს დირექტორი - ედნარ ხიმშიაშვილი

- ❖ გაყიდვების მენეჯერები: დიანა ხანდამიშვილი და ლეონა რიჭვაძე
- ❖ მთავარი ბუღალტერი: მაია ბოლქვაძე
- ❖ იურისტი: კობა ფუტკარაძე
- ❖ დიზაინერი: ლევან შარაშიძე
- ❖ სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი: ზაზა ბერიძე;
- ❖ ტექნიკური ინჟინერი: ნუგზარ მიქელაძე

წარმოდგენილი გუნდი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში. დღისთვის კომპანიაში 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

სტრუქტურული დაყოფის მაგალითი



სამომავლო გეგმები

კომპანიას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და უახლოეს მომავალში იწყებს ქ. ბათუმში, ჟიული შარტავას ქუჩაზე 47 სართულიანი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. აღნიშნული კომპლექსის 15 სართული სრულიად დაეთმობა საცხოვრებელს სახლს, შემდეგი სართულებზე კი განთავსდება აპარტამენტები.

რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები ჩვენი კომპანიის მთავარი რისკი დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკია. კომპანიაში მოქმედებს მოქნილი 3-წლიანი შიდა უპროცენტო განვადების სისტემა, რაც კომპანიას, მეორეს მხრივ დავალიანების ამოუღებლობის რისკის წინაშე აყენებს. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, დავალიანების გადაუხდელობისას იგი უზრუნველყოფილია გაყიდული ქონებით, თუმცა სასამართლო წესით საქმის წარმოების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, აღნიშნული დიდ ზიანს აყენებს ჩვენს კომპანიას.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და „ფიშინგის“ მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად კომპანია არ ივიწყებს მოსალოდნელ თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს აწესებს კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები, ამას გარდა ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

არაფინანსური ანგარიშგება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი

გამოყენებისაგან.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, „REAL PALACE“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო. კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე. შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად „REAL PALACE“ იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.